

# შინაური საქმეები.

№ 20.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მესხეთე.

✦ ყოველ-კვირული გაზეთი ✦

კვირა, 27 მაისი 1912 წელი

ყოველ-კვირული გაზეთი

## შინაური საქმეები

საგვერდო № 17), და თბილისში გამოცემულიან სომხის ობი ნომერი.

გაზეთის ფასი: მანეთი 4  
 წლიური ფასი: 4 მანეთი.  
 ნახ. წდით: 2 მანეთი.  
 სპეციალ. ფასი: 1 მანეთი.  
 ერთი თვეთ: 2 აბანი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.  
 ფულის შემოტანა წლიური ხელის მომწოდებლის შემთხვევაში განაწილებს: თვედან 2 მ. და 1 ონის 2 მ.  
 განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტროს სტრიკოვი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.  
 ადრესა: ქუთაისი: „მანაშურა საქმეების“ ტელექტა.

**შინაური:** 1) საკითხი სულის უკვდავებაზე—ფი-პე ს-ძე-სი; 2) ყოველდღიური ლეონიდის მოგზაურობა სა-მეგრეთს ეკლესიების დასათვალისწინებლად—ჩ-სა; 3) სიტყვა ს. ობრის წმ. გიორგის ეკლესიის ამშენებლების მიმართ სახსოვრად იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობისაგან; 4) სამღვდლოების ცხოვრები-დან—ერთი სოფლის მღვდელთაგანისა; 5) ჩვენი მი-მუნობა—იოთამ თარხანიძის; 6) როგორ სჯობია—დევ. იოსებ წერეთლისა; 7) კრიტიკა ეკატერინე გაბა-შვილისა—ხომელისა; 8) ფშავ-ხვესურეთის სალოცა-ვები და ცოტა-რამ მათ და მათი მლოცველების შესა-ხებ—მლ. ნესტორ ბაკურაძის.

### საკითხი სულის უკვდავებაზე<sup>1)</sup>.

(თარგმანი).  
 გაგრძელება

მატერიალიზმის თეორიით სული არის სხე-ულის მოქმედება (ფუნქცია).  
 ამ თეორიის საფუძვლად ედგება მექანიკუ-რი სოფლ-მხედველობა. ბუნების ყველა მოვლენა, მთელი მისი ცხოვრება, წარმოადგენს ნიე-თიერებისა და ენერჯის ცვლილებას: აღმასი იცვლება ნახშირად, წყალ-მზადი და მყებელი—წყალად, სინათლე—სითბოდ, ელექტრონად და სხვა. კაცის სულიც ერთი სახეობის ენერჯის ცვლილებისა. ის არის დროებითი სახე ნიეთიერ მსოფლიო ენერჯისა; შეზომილი შეერთება მა-ტერიისა და ძალთა რაოდენობისა ნაყოფად იძ-ლევს სულსა; ყოველი ცვლილება მატერიის და ძალთა რაოდენობისა იწვევს ცვლილებას სულ-შიაც. ყოველი სულიერი მოქმედება არის

<sup>1)</sup> იხ. „შინ. საქ. № 18—19.

ნივთიერების და ენერჯის დახარჯვა, რომლებიც ეძლევიან კაცისაგან ბუნებას და მასში დებულობენ ახალ ცვლილებებს. სული ამ თვალსაზრისით არის ისეთი დროებითი და შემთხვევითი მოვლენა, როგორც ცისარტყელა ანუ ჩრდილოეთის კაშკაში. უნდა აღვიაროთ, რომ სულის შესახებ სხვადასხვა სწავლათა რიგში ზემო ნათქვამი ისეთს რამეს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ყველაზე უფრო ადვილად დავარღვიოთ. სულს, — ჩვენ მიერ გარდმოცემულმატერიალურ თეორიის თვალსაზრისით — ახასიათებს გრძობათა ნიჭი; მატერიას არ აქვს ასეთი ნიჭი, იბადება საკითხი, როგორ შეიძლება გრძობანი წარმომადგარიყვენ უგრძნებობისაგან? მატერიალისტები ამ საკითხის პასუხად გვითითებენ ნივთიერების და ენერჯის გარდაქცევის თეორიაზე; მაგრამ რაც უნდა პარადოქსალურად გვეჩვენოს ეს, მაინც უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე ბუნებისმეტყველების თვალთაზრისით ბუნებაში არ ჰხდება არავითარი გარდაქცევა ენერჯისა ანუ ნივთიერებისა; ყოველი პროცესი მსოფლიო ცხოვრებისა თანახმად შექანიკურ-ატომიურ მსოფლ-მხედველობისა იმამდგომარეობს, რომ სამყაროში ყოველ მხრისკენ შესაძლებელი სიჩქარით მოძრაობს უთვალავი რაოდენობა ატომებისა. დაეჯახებიან რა ერთი მეორეს, ეს ატომები იცვლიან ურთიერთან დამოკიდებულებას, მიმართულებას და სიჩქარეს. ატომები უკვლელია არაფრად არ იქცევა, მოძრაობაც არაფრად არ იქცევა, არამედ რჩება მოძრაობადვე, მხოლოდ ატომების სხვადასხვა შეერთება და მოძრაობათა სხვადასხვა სიჩქარე გვეჩვენება ჩვენ მატერიის და ფიზიკურ ძალთა სხვადასხვა სახეებად. რომ ჩვენი გრძობის ორღანოები უნაკლო იყოს, მაშინ წყლის მაგივრად ჩვენ დავინახავდით წყალ-მზადის და მეთვ მზადის თავისებურ კომბინაციას და სინათლის სხივების მაგივრად — ეთერის ატომებს, რომლებიც ტოკავენ 280-ათასი ვერსტის სიჩქარით წაშში. ამ ნაირად ყველა ცვლილებას ფიზიკურ ბუნებაში აქვს სწორეთ სუბიექტიური ხასიათი. მაგრამ სულ სხვა არის — პსიხიური ნი. მოვლენანი. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვი-

დგინოთ გრძობა მოძრაობის სახედ, და არც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მატერიალურ ატომების ისეთი გეომეტრიული კომბინაცია, რომელთა მოქმედებას შეადგენს გრძობა. ჩვენ უეჭვოდ შეგვიძლია მისი თქმა, რომ გრძობა შეუძლებელია იყოს შედეგი ანუ ფუნქცია იმ თვისებათა, რომლებიც აღმოაჩინეს და იკვლევინ მატერიაში ფიზიკამ, ქიმიამ და მინერალოლიმ. მეორე მხრით, ჩვენ არსებითად არ შეგვიძლია არავითარი პასუხის გაცემა იმის წინაღმდეგ, რომ ყველა საგანი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და ვათვარიელებთ, არის მხოლოდ მატერიის და მოძრაობის ნაყოფი. იმიტომ რომ ყველა, რაც ეჩვენება ჩვენ დაკვირვებას უსაშუალოდ, სხვა არაფერია, გარნა მხოლოდ მოძრავე მატერია. ხმები წარმოადგენენ თავის თავად ჰერის მოძრაობას. გრძობანი შეუძლებელია გამოვიყვანოთ რომელიმე ჩვენ მიერ ცნობილ პირობებისაგან. საბუნებისმეტყველო სამეცნიერო ანალიზი გვიჩვენებს ჩვენ, რომ ყველა მოვლენა მატერიალურ ქვეყნისა არსებითად მოძრაობის მოვლენაა; პსიხიური მოვლენანი, რომელთაც შეიძლება ყოველთვის თან სდევდეს მატერიალურ ატომების განსაზღვრული მოძრაობა, — მაინც არ არის მათი მოძრაობა, არც შედეგი მათი მოძრაობისა. ამ ნაირი ფაქტები გვაიძულებენ აღვიავიაროთ უსათუო სიყალბე მატერიალურ თეორიისა სულის არსების შესახებ.

მიმდევარნი ჩვენ მიერ აღწერილ და გარჩეულ თეორიისა, პირველად, ნაკლებად იცნობენ მეცნიერებას მატერიის შესახებ, მეორედ, სულ არ იცნობენ მეცნიერებას სულის შესახებ. საქმარისია აუხსნათ მათ პირველის საფუძველნი და ვაიძულოთ გაიცნონ მეორეს ელემენტები, რომ მათ უარპყონ თვისი სწავლა და დაინახონ მისი ხრული უსაფუძვლობა. თანამედროვე მეცნიერულ აზრის წარმომადგენელთა წრეში უკვე აღარ მოიძებნებიან მიმდევარნი ამ ტლანქ მატერიალიზმისა. მათ უფრო შეიძლება შეხედეთ ლუდხანებში, სხვადასხვა სწავლა-ნაკლულევან პირთა შორის, რომელთაც დაიტაცეს შეხედომით სხვადასხვა აზრთა და ფაქტთა ნაწყვეტები და სერიოზულად

პეიქრობენ, რომ ნიუტონი მიმდევარი იყო კონტის პოზიტიურ ფილოსოფიისა. დიდი ხანია რაც მომხრეები იმ ფილოსოფიისა, რომელიც ცდილობს ახსნას ყველაფერი მატერიის თვისებათაგან, იძულებულნი იყვნენ შეეტანათ ზოგიერთი შესწორება და დამატება თავიანთ სწავლაში მატერიაზე. იმათ დაიწყეს სწავლება, რომ მატერიას, ფიზიკურს გარდა, აქვს პსიხიკური თვისებებიც. ეს სწავლა საფუძვლად დაედო იმ თეორიას, რომელსაც ჩვენ უწოდებთ **პსიხიკურ ატომიზმის თეორიას**. ამ თეორიის დედა-აზრი შემდეგია: ყველა ატომს ფიზიკურ თვისებასთან ერთად აქვს პსიხიკურიც და, როგორც ატომის ზომას, აქვს ძალიან ცოტა ექსტენსიური თვისება, ისე მის პსიხიკურ თვისებასაც ძალიან ცოტა ინტენსიური თვისება აქვს. მატერიის ექსტენსიური თვისება მატულობს ატომების უბრალო შეერთებით, ინტენსიობა კი მის პსიხიკურ თვისებათა არ მატულობს ასეთი უბრალო საშუალებით. შეგნება ისე ნაკლებად აქვს მხესა, როგორც წყლის მოლეკულასა. რომ მატერიის პსიხიკური თვისებები გამოაშკარავდეს და გაძლიერდეს, საჭიროა, რომ მისი ატომები თავისებურ ორღანიულად შეკავშირდნენ. ორღანიზმების შესწავლა ჩვენ გვაჩვენებს, რომ პსიხიკური მოქმედება მათში იმდენად მაღალი თვისებისაა, რამდენადაც რთული და წყობილია მათში კავშირი ატომებს შუა. ეგრეთ წოდებულნი დაბალი ორღანიზმები განირჩევიან ორღანიზაციის სიმარტივით და ორღანოების სუსტი ცენტრალიზაციით. რამდენადაც ავღივართ ბიოლოგიურ კიბეზე, ჩვენ ვხვდებით უფრო და უფრო გაერთწყობილებულ ორღანიზმებს, რომელნიც იჩენენ უფრო მაღალ და მაღალ თვისებებს; მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ორღანიზმები განირჩევიან ნერვების სისტემის რთულ წყობილობით. უკანასკნელ დ უმაღლეს როლს ამ კიბეზე წარმოგვიდგენს ადამიანი, როგორც თვითშემეცნების მექონე პიროვნება. აღწერელ თეორიის თვალთაზრისით, იმისი თვით შემეცნება ჯამია იმ ატომების შემეცნებათა, რომლებსაგანაც ის შესდგება. წარმოდგარ წინაღობდევობას, რომ ატომები, რომ-

ლებსაგანაც შესდგება ადამიანი, მუდამ იცვლებიან ერთი მეორეთი, თვით შემეცნება კი რჩება უცვლელად,—ამ ნაირად თავიანთ იშორებენ. პსიხიკური და ფიზიკური თვისება ყველა ატომებისა ერთი და იგივეა; ამიტომ თვით შემეცნება დამოკიდებულია არა იმ ატომისაგან, არამედ მათი ურთიერთობის და ჯგუფად შეკრებისაგან. როცა ატომ A-ს ადგილზე სხეულში ადგილს იკავებს მის გვარი ატომი B, და ატომი A გამოდის სხეულიდან, ამ შემთხვევაში ადამიანის თვითშემეცნების შინაარსში არ ჰხდება არავითარი ცვლილება; სულ სხვაა თუ ატომ „A“-ს დამოკიდებულება სხვა ატომებთან იცვალა, მაშინ თვით შემეცნების შინაარსშიაც მოხდებოდა ცვლილება,—რასაკვირველია იმდენად შეუმჩნეველი, რამდენად შეუმჩნეველია მომხდარი ცვლილება სხეულისა. ამ თეორიის თვალთაზრისით, ცხადია, არ შეიძლება ვსთქვათ, რომ კაცის პიროვნება მთელ მისს ცხოვრებაში ერთ და იგივეობას წარმოადგენდეს, მაგრამ ამბობენ; რომ ეს იგივეობა არც კი არსებობს ნამდვილად: ადამიანის სული ცხოვრების სხვადასხვა ხანაში რჩება იმდენად ერთი და იგივე, რამდენად რჩება ერთ და იგივედ მისი სხეული. თუ ადამიანი თავის პიროვნებას უცვლელად სთვლის ამის მიზეზი ისაა, რომ პიროვნების ცვლილება უკიდურეს თანდათანობით ხდება, ამასთან ცვალებულ პიროვნებას მისი წარსული პსიხიკური მდგომარეობანი წარმოუდგებიან ხოლმე, როგორც მისი საკუთრებანი, რის გამო მას თავის თავი იმად მიაჩნია, რომელიც წინად იყო, თუმცაღა კი ნამდვილად მისი პიროვნება იცვალა. ესლა, ცხადია, როგორ წყდება საკითხი ადამიანის სულის უკვდავებაზე—აღწერილ თეორიის თვალთაზრისით. უკვდავია სული ატომისა, მაგრამ მომაკვდავია სული ადამიანისა. სხეულის სიკვდილთან ერთად, როცა წყდება კავშირი და ცენტრალიზაცია ატომებს შუა, ჰქრება ადამიანის პიროვნებაც; ატომები ახლად ერთდებიან და ან ჰქმნიან არა ახალ სულსა, მაგრამ თითონ კი უცვლელად რჩებიან.

ფ—ბე ხი—ძე.

(შემდეგი იქნება).

უოვლადსამღვდელთა ლეონიდის მოკვსა-  
ურობა საძეკრულოს ეკლესიების და-  
სათვალისწინებლად.

(გაგრძელება\*)

წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი  
წარმართნი (მათ. 28, 19).

ასე უბძანა ერთხელ მაცხოვარმა ჩვენმა  
იესო ქრისტემ იმ თორმეტ ებრაელთ, რომლებ-  
ბიც განგებ გამოირჩია მთელი ერიდან, რომ-  
ლებიც ღლე და ღამ განუყრელად იმყოფებო-  
დნენ ქრისტესთან და ითვისებდნენ მის ღვთა-  
ებრივ მოძღვრებას, რომლებიც იწოდებოდნენ  
ქრისტეს მოწაფეებად და მთელ საქრისტიანოში  
ცნობილნი არიან წმ. მოციქულებად. წარვე-  
დით, ე. ი. წადით, მოფინეთ ქვეყანას და მო-  
იმოწაფენით, ანუ მოაქციეთ, შეაგნებინეთ,  
მიადებინეთ, მიმდევარი გახადეთ ჩემი მოძღვრე-  
ბისა ყველა წარმართნი, ისინი, რომლებსაც  
ჯერ არ სმენიათ ჩემი მოძღვრება, რომლებსაც  
წარმოდგენა არა აქვთ ქვეყნის მაცხოვარზე,  
რომლებიც არ იცნობენ ზეციურ მამას და იმ-  
ყოფებიან სულიერ სიბნელეში. დიდი საქვე-  
ყნო ბედნიერება და სიკეთეა ჩაწულ-ჩართული  
და ჩაქსოვილ-ჩაყოლებული ქრისტეს ბრძა-  
ნებაში.

ყველამ ვიცით, რომ სიმინდის თესვში  
იფარება ცოცხალი მცენარე, ვიცით, რომ გამ-  
ხმარი სიმინდის მარცვლი ამოდის მიწის სიღრ-  
მიდან ღაღანა ყანად და ბოლოს იტვირთება  
ღირდონი ტაროებით მზის სითბოს გავლენის  
გამო. სადაც ყინვაა, სადაც მზის თვა-  
ლი არა ტრიალებს, სადაც გარემო მოკულია  
სიბნელით, იქ სიმინდის მარცვლი ვერ გადიქ-  
ცევა მწვანედ, იქ სიმინდის მარცვლი ვერას-  
ოდეს ვერ გამოიღებს ტაროებს. ესე კაცობრი-  
ობის სიციცხლე დარჩებოდა მუდამ უძრავად,  
უნაყოფოდ და ბნელად, რომ წმ. მოციქულებს,  
ქრისტეს ბძანების თანახმად, არ ჩაეშუქებინათ  
წარმართების გულში ქრისტეს მაცოცხლებელი  
სწავლის ბრწყინვალე სხივი, რომ მოციქულებს,

ქრისტეს დავალების გამო, არ გამოეწვიათ მა-  
ნამდე უნაყოფო წარმართებში ახალი სიციც-  
ხლე სწორეთ ისე, როგორც გაზაფხულის მზის  
სხივები ჰბადებენ ხოლმე მიწაში დაფლულ სი-  
მინდის მარცვალში სიციცხლეს და მოძრაობას.  
მოციქულების ქადაგების გავლენით ძველი ბარ-  
ბაროები ქრისტეს მოწაფეებად შეიქმნენ, მო-  
ციქულების ქადაგების გამო კაცობრიობის უკე-  
თესი ნაწილი დაეწაფა სახარებას, მოციქულე-  
ბის ქადაგების გავლენით კაცის გონება და ზნე-  
ობა ავიდა განვითარების უმწვერვალეს სიმაღ-  
ლემდე.

ჩვენც მოგვინათა ამ ცხოველყოფელმა  
მზის სხივმა, — ქრისტეს მოძღვრებამ; მაცხოვარ-  
მა იესო ქრისტემ ქართველებისთვისაც „წინას-  
წარ განიგულა უმჯობესი“ და თავისი უკვდა-  
ვი მოძღვრების გასავრცელებლად მოგვივლინა  
ჯერ ანდრია მოციქული და შემდეგ წმ. ნინო.  
ხსენებულმა პირებმა ღმობიერი ქადაგებით და  
მოძღვრებით დააღებეს და მოაწყეს ქართველე-  
ბის გამხმარი გული, გატყეს და მოხნეს ეს მა-  
ნამდინ უნაყოფო ყამირი, გაწმინდეს ხნული  
მანე ბალახების ძირებისაგან, დააფხვიერეს,  
დათესეს სახარების თესლით და დაფარცხეს იგი  
წმ. საიდუმლო ნათლისღების შესრულებით.  
მალე ხნულში აღმოსცნდა ღვთისაგან ნაკურ-  
თხი ყანა და მისმა მადლიანმა გამოსავალმა,  
მისმა ბარაქიანმა ხვამა გაამდიდრა, აამალა და  
ყოველნაირად ააყვავ-განავითარა ქართველი  
ერი. ქრისტიანობა რომ არ მიელო ჩვენს მამა-  
პაპს, აქამდე დაკარგული იქნებოდა ჩვენი მი-  
წაწყალიც, ენაც და ჩვენი ხსენებაც. ქრისტი-  
ანობა ერის ცხოვრების დედა ძარღვია, არა,  
ქრისტიანობა მთელი არსებობაა ერისა და ამი-  
ტომაა, რომ ღვთისაგან დადგენილი მწყემსები  
და მწყემსმთავარი მუდამ თავს ევლებოდნენ და  
ჰდარაჯობდნენ ქრისტეს ყანას, მშათ იყვნენ  
სიციცხლე შეეწირათ ხალხში ქრისტიანობის  
განმტკიცებისათვის, ზამთარ-ზაფხულ მიმოვლიდ-  
ნენ სამწყსოს და პირადი გავლენით, ცოცხა-  
ლი სიტყვით, მამაშვილური დარიგებითა და  
სწავლით ამხნევებდნენ დიდსა და პატარას, ქალ-  
სა და კაცს, რომ მტკიცეთ მღვაროყენენ ქრ-

\* იხ. „ზინაური საქმეები“ № 18—19.

სტიანობაზე, ჰყვარებოდათ ეკლესია და უზუნდობას, გარყენილობას, სიზარმაცეს, ქურდობას, ერთიმეორის მტრობას და შურს, უმფროსთაღმი ურჩობას და პატიუცემლობას არა ჰსჯეროდა არავითარი ალაგი ქრისტიანთა ცხოვრებაში.

მეც, უკანასკნელი და გლახაკი მეველე ქრისტეს ყანისა, იმისთვის დავიარები სოფლითი სოფლად ამ სიცხე-პაპანაქებაში და ვაჭირვებაში, რომ გავიციო სულიერი ცხოვრება ღვთისაგან ჩემდამო ჩაბარებული სამწყსოსი, შევიტყო, სად როგორ ინახავენ ქრისტიანობას, როგორ ეპყრობიან ეკლესიას, რა ზნეობის კვალს ადგანან ცხოვრებაში და, თუ საჭირო დარჩა, „ვაძილო, შევრისხო და ნუგეშინის ვცე ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“. დღეს ჩემი სულის აზრი თქვენთან მხოლოდ ეს არის და ვმადლობ ჩემს გამჩენს და მაცოცხლებელ ზეციერ მამას, რომ თქვენმა მოძღვარმა აღმაფრთოვანა გასახარელი ამბით, რომ თქვენ, როგორც თქვენი მოძღვარი მოწმობს, „გიყვართ ეკლესია, პატივსცემთ წმინდანებს და, ნივთიერად ღარიბნი, მდიდარნი ხართ სარწმუნოებით“. ჩემი სიხარულიც ეს არის, ჩემს სიცოცხლესაც ეს შეადგენს, ამის გასაგებად და ამის დასანახათ დავდივარ და ვშრომობ დღე და ღამ!

სასიკადულო და საყვარელო სულიერო შეილებო, იკოდეთ, რომ დღევანდელი „დღენი ბორბტნი არიან,“ იკოდეთ, რომ ჩვენი სიკეთის მტერი დიდათ მეცადინობს და ზრუნავს, რომ დავვაკარგინოს მამათა სარწმუნოება, შეგვაძლოს ეკლესია და მოგვაშოროს ქრისტე მაცხოვარს. ერთდეთ ამგვარ პირებს, როგორც გამანადგურებელ ცეცხლს, ბოძებ გამოკლილი სახლი უსათუოდ დაიქცევა. ჩვენი ეროვნული სახლის გამამაგრებელი ბოძი სარწმუნოებაა და თუ სარწმუნოება დავკარგეთ, აუცილებლად მოვისპობით, ერთმანეთს დავჭამთ და გავპირუტყვდებით.

ყველაფერი მოიკლით, ყველაფრით შეივიწროეთ თავი, და თქვენს შეილებს კი მიეცით ცოდნა, მიეცით აღზრდა და გონების გან-

ვითარება, რომ, როგორც თქვენ შეინახეთ მამა-პაპათაგან ვადმოცემული სარწმუნოება, ისე მათ შესძლონ ამ საუნჯის შენახვა მათი ჩამომავლობისათვის და ამგვარად გამაგრებული იყოს სამუდამოთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ერის არსებობა.

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო იესო ქრისტე, მოხედე მოწყალე თვლით ყანასა ამას შენსა, ნუ მოაკლებ მას ნურასოდეს შენს ცხოველმყოფელს სითბო-სინათლეს, მორწყე იგი საღმრთო მადლითა შენითა, ნაყოფიერ ჰყავ ასწილ, დაიცევ გონიერი სეტყვისა, მავნე ქარისა და შემმუსვრელი კალიისაგან და შენგან დადგინებულ მის სადარაჯოდ სულიერ მწყემსთ შთაბერე სული ფიზილობისა, გულსმოდგინებისა და სიბრძნისა. ამინ.

ეკლესიას აკლია ბევრი სამკაული და დასახურავ-გასაკეთებელია შიგნითაც და გარეთაც.

ღამის გასათევათ მისი მეუფება მიიწვია ადგილობრივმა მღ. დიმიტრიულამ. ყოვლადსამღვდელომ გულ დადებით დაათვალიერა მ. ბერულავას კარ-მიდამო და მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ მღვდლისაგან გაშენებული თხილის პლანტაციით და ნამყენი ვენახით; დიდათ მოუწონა მ. ბერულავას მეურნეობის სიყვარული და ბეჯითად დააეალა მომავალშიაც თავგამოდებით გაგრძობა ასეთი შრომისა სხვების სამაგალითოდ და გამოსაფიზილებლად. №.

## სიტყვა

საფ. აბჩას წმ. გიორგის ეკლესიას ამშენებლების ძამართ სახსოვრად ამკურთხას სარწმუნოებრივ განმანათლებელა მამაბასავან. \*)

დავეირვინდა თქვენი შრომა, სრულ იქმნა თქვენი ღვაწლი, იხილეთ და განიცადეთ ნაშრომი ხელთა თქვენთა, დასტკბით წმიდა ტაძრის ხილვით, იკურთხენით და განიწმიდენით

\*) ეს სიტყვა ძმობამ ფურცლებათ დაბეჭდა და გაგზავნა ხალხში მუქთად დასარიგებლათ კურთხევის დღეს.

მის კურთხევასთან ერთად! კურთხეულ არს ღმერთი და მონა მისი მთავარ-მოწამე გიორგი, რომელმაც მოგცათ შეძლება გეზიდნათ თქვენ სიღარიბესთან ერთად ამა ტაძრის შენების უღელი 20—22 წლის განმავლობაში. აღასრულეთ თქვენ ქრისტიანული წესი: გაიჩინეთ სახლი სამლოცველო, საყოფელი ღვთის დიდებისა და სიწმიდისა, დაიდგით ძველი საუკუნო მოსახსენებელი სახელისა თქვენისა, გიხაროდენ და კვალად გიხაროდენ! სიხარული თქვენი დიდ არს ღღეს, რაიცა აშკარათ ეტყობა თქვენ მხარულ საღმრთო საწაულო სახეებს. თავდავიწყებამდე გიყვართ ღღეს ეს თქვენი ეკლესია და გირჩევნიათ აქ საღმრთო კურთხევა მიგდება, ვინემ კოდვით სავსე სასახლეებში ყოფნა და ღვთის წინასწარმეტყველთან ერთად მზათა ხართ გაიმეორეთ: „ვირჩიე მე მიერდომად სახლსა ღვთისა ჩემისასა, ვიდრელა—რა დამკვიდრებდა ჩემდა საყოფელსა ცოდვილთასა.“ დავითი სულით იტანჯებოდა, როცა ხედავდა თავის თავს დიდებულ სასახლეში, ხოლო დიდებასა ღვთისასა, კიდობანსა აღთქმისასა, უბრალო კარავში, — იტანჯებოდა და სწყუროდა აეგო საყდარი შესაფერისი დიდებისა მისისა, სწყუროდა, მაგრამ ვერ ეღირსა სიციცხლეში, მხოლოდ შეიღმან მისმან სოლომონ ალაშენა დიდებული ტაძარი, რომლის ღირსი ვერ შეიქნა დავითი. ვინ იცის, იქნებ თქვენ მამებსაც ასე სწყუროდათ ღვთის სახლის აშენება, მაგრამ ვერ ეღირსენ, — თქვენ კი ღირსნი გახდით — კვალად გიხაროდენ! მაგრამ ისმინეთ რას ბრძანებს უფალი პირითა წინასწარმეტყველისა თვისასათა: „ცაი საყდარ ჩემდა და ქვეყანაი კვარცხლბეკ ფერთხა ჩემთა, რაი საყოფელი მიშენოთ მე და რაი განსასვენებელი დიდებისა ჩემისა?“ ესე იგი ცა ტახტად მაქვს და ქვეყანა ფერთხა სადგმელად, მთელი ქვეყანაი სავსეა ჩემით, მთელი მსოფლიო ვერ მიტევს მე და რა სახლი ან რა საყოფელი უნდა აღმიშენოთ ისეთი, რომ დამიტოვოს, ან დიდებამან ჩემმან განისვენოს მუნ?“ ნუ შესძრწუნდებით, ძმანო, ამით ღმერთი არ გვიწუნებს ჩვენ სხვერბლს, ჩვენ აგებულ ტაძარს, მხოლოდ გვაუხიზლებს

და გვაფრთხილებს, რომ ამ სხვერპლით, ამ ტაძრის აშენებით, ჩვენი ვალი ღვთის წინაშე გადახდილი არ გვეგონოს, რომ მღვიძარება არ დაეუტეოთ და არ მივეცეთ სულიერსა ძილსა და უღებებსა ჩვენი ზნეობის გაფაქიზებისა და განწმენდის საქმეში, როგორც ამას შვერბოდენ ებრაელები, რომელთა მიმართ მიმართული იყო ზემომოყვანილი მრისხანე სიტყვები. ის საცოდავები მართლა ისე ფიქრობდენ, რომ, რაკი ტაძარი აუშენეს ღმერთს, ამის მეტი მათ არაფერი მოეთხოვებათ და ახლა კი თვით ღმერთია მათ წინაშე ვალდებული. ასე უყურებდენ ისინი სხვერპლსა და ყოველ ღვთისმსახურებას და, თუ ჩვეულებას აღასრულებდენ, თავს ნაშველად სთვლიდენ. სწორეთ ასეთი გარეგნული შეხედულება ღვთის მსახურებაზე გაკიცხა უფალმა, როცა წინასწარმეტყველის პირით სიტყვა მათზე: „მახლობელ არს ერი ესე პირითა მათითა და ენითა მათითა მსახურებდეს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“—ო.

როცა სოლომონმა ტაძარი დაამთავრა და ღმერთს იქ მავედრებელთა ლოცვის შესმენა სთხოვა, ასეთი პაზუხი მიიღო ღვთისაგან: „ვისმინე ხმა ვედრებისა შენისა და ლოცვისა შენისა და გიყავ შენ ყოვლისავე ვედრებისა შენისა, და წმიდა ვყავ ტაძარი ესე, რომელიცა აღაშენე დადებად სახელისა ჩემისა მუნ უკუნისამდე; და იყვენ თვალნი ჩემნი მუნ და გული ჩემი ყოველსა შინა ღღესა, უკეთუ ხვილოდე წინაშე ჩემსა წისმილითა გულისათა ყოფად ბრძანებისა ჩემისა და მცნებისა ჩემისა დაცვად; ხოლო უკეთუ მიიქცეთ თქვენ და ძენი თქვენნი ჩემგან და არა დაიმარხნეთ მცნებანი და ბრძანებანი ჩემნი, და მონებდეთ ღმერთთა უცხოთა, განვაბნო ისრაილი ქვეყანით, რომელი მივეც მათ და ტაძარი ესე, რომელი წმიდა ვყავ სახელისა ჩემისათვის, განვაგლო პირისაგან ჩემისა. და იყოს ისრაილი განბნულ და წარწყმედულ ყოველთა ერთა შორის.“

სწორეთ ამავე სიტყვების, ასეთივე რისხვისა და სასჯელის ღირსნი ვიქნებით ჩვენც, თუ ებრაელების მსგავსათ, გარეგნულ ჩვეულებ

ბის შესრულებაზე გაავთავებთ ჩვენ ღვთის მსახურებას და არ ვემსახურებით მას საქმიანად, არ აღვასრულებთ მის ბრძანებას, მის მცნებებს, სწორეთ რომ უარყოფილი ვიქნებით ჩვენცა და ჩვენი ღვთისმეტყველები სხვებზე, ჩვენი წვა და გვითა და სიმწრის ოფლით აშენებული ეკლესია, როგორც უარყოფილი შეიქნა თვით იერუსალიმის დიდებული ტაძარიც, თუ ამით დავასრულებთ ჩვენ მოღვაწეობას, ამით განვახლებრავთ ჩვენ ღვთის მსახურებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ქვეყნიერება და მსოფლიო, რა თქმა უნდა, ჩვენი სამლოცველო სახლებიც, ადამიანისთვის არის გაჩენილი და არა წინააღმდეგ ადამიანი მათთვის. ქვეყანას მაშინ აქვს ფასი, როცა მას აცოცხლებს და ახარებს ადამიანის არსებობა. და ეს ჩვენგან მიუწოდებელი საიდუმლოებაა ღვთისა! მხოლოდ ადამიანის სიყვარულმა გააჩენია ღმერთს ქვეყანა, მხოლოდ მისმა სიყვარულმა მოიყვანა ღმერთი ქვეყნად, როგორც სწერია ერთ საეკლესიო საგალობელში: „სიყვარულმა მოიყვანა ქრისტე ღმერთო“-ო. და აქი ამისთვის არ დასწყევლა ღმერთმა ქვეყანა ადამის დაცემის შემდეგ, როცა უთხრა მას, ადამს: „წყუელ იყავ ქვეყანა საქმეთა შინა შენთაო“?! მაშ, როცა ღმერთი მოიძულეებს ადამიანს სიბილწისა მისისათვის, რაღა ფასი ექნება მის თვალში სამლოცველო სახლს, ტაძარს, რას ემგვანება ტაძარი უკაცოთ, ვის გაუწევს ის სამსახურს, ან რა მიზანს უნდა ემსახუროს იგი. აშკარაა ღვთის დიდება გასცილდება, მოშორდება მას და მხოლოდ გველთა და ღრინაკალთა საბუდრად გადაიქცევა. მაშ თუ არ გვინდა ჩვენ ნაჭირნახულზე ტაძარსაც ეს დღე დაადგეს. თუ არ გვინდა, დიდება ღვთისა განეშოროს მას და შეიქნეს ქვეყნისაგან საბუდრაო, გვცადოთ აღვასრულოთ მცნება ღვთისა, რომელიც სულ მოკლეთ ასე გამოიხატება: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. უკეთუ ამ მცნებას შევასრულებთ, ღმერთიც განუშორებლივ იქნება თქვენგან ახლად აგებულ ეკლესიაში და აქ თქვენ ლოცვისაც გაუღენა ექნება მის წინაშე.

ნუ დავივიწყებთ ამასთანავე, რომ ვისაც ვერ იტევს თქვენი აშენებული ტაძარი, ვისაც ვერ იტევს მთელი ქვეყანა, ვისაც ცა საყდრად აქვს და ქვეყანა კვარცხლბეკად, მას ადვილათ დაიტევს, მას იოლათ მოითავსებს თავის შორის ადამიანის პატარა გული. ეს ერთი წიწკნა ხორცი ადამიანის სხეულში საყდრათაც ყოფნის განუსაზღვრელ არსებას და კვარცხლბეკათაც. წმიდა გული და უმწიკვლო სული ადამიანისა ტაძარია ღვთისა, ტაძარი უსათნოესი, უძვირფასესი და უსაყვარლესი ყოვლისა ტაძრისა, რაც უნდა დიდებული იყოს იგი, რაც უნდა მდიდრულათ იყოს შემკული, რაც უნდა ძვირფასი ქვით, თუნდა აღმასბრილიანტიმაც, იყოს ნაშენი. გული წმიდა სამოთხეა, სადაც ღმერთი სუფევს დიდებითა თვისითა, ხოლო გული უწმინდური, ბოროტებით სავსე ჯოჯოხეთია, სადაც თვით ტარტაროზი ბატონობს. განეშორებით ცუდ საქმეებს, ცუდ აზრებს, ცუდ გულისთქმებს, ერიდეთ შურს და მრისხანებას. დაუთმეთ გული კეთილ საქმეს, კეთილ ფიქრებს, ღვთისა და კაცის სიყვარულს, გახადეთ იგი სამარხად ღვთის მცნებისა, რომ თქვენში დაისადგუროს მადლმან ღვთისამან და გახდეთ ტაძარი ღვთისა ცხოველისა. ილოცეთ მუდამ გულის სიწმიდისათვის და ხმობდით ესრეთ: „გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვაჟსა ჩემსა!“ ამინ.

## სამღვდელოების ცნობრებიდან.

კაცს ცუდი საქმისაგან უნდა აყენებდეს ან სინიდისის ხმა და მცნებანი ღვთისა, ან სირცხვილი საზოგადოებისა და შიში სამოქ. კანონისა; უამათოდ კაცი მიუცილებლად შეიქმნება მანებელი და შემაწუხებელი, როგორც საზოგადოებისა, ისე საკუთარი თავისა და ოჯახისა. უნაკლულო, უმიზეზო და უცოდველი

არაინ არ არის, რადგან ბუნება კაცისა მიდრეკილ არს ცოდვისადმი, მაგრამ ყველას ერთნაირათ არ მოეთხოვება არც შესრულება ღვთისა და კაცთაგან დადგენილი კანონებისა და არც პასუხის გება ამ კანონების დარღვევისათვის. ეკვი არ არის, უფრო დაისჯება ცუდი საქციელისათვის ის პირი, რომელსაც ვალად აძევს არა თუ მარტო თითონ იაროს, სხვებც კი არაონის კეთილ გზაზე, დაუზარებელი სწავლებითა და კეთილი მაგალითებით გაუადვილოს მათ დაახლოება ღმერთთან. ამიტომ მე სრულებით არ მიკვირს, როდესაც რომელიმე მორწმუნე ერისკაცი თავგამოდებით აძაგებს მღვდელს ისეთი საქციელისათვის, რომლის მსგავსსაც ადვილათ შეუნდობს და თითქმის ცოდვითაც არ ჩაუთვლის არა ანაფორიანს, ეს ჩვენ, მღვდლებმა კარგათ უნდა ვიცოდეთ და ძლიერაც ვერიდებოდეთ ღვთის გასარისხებელსა და ხალხისაგან ყბადასაღებ საქმეს.

ამ ეამად მე მივაქცევ ძვირფას თანამშაოთა ყურადღებას ერთ დიდთ დასაგმობ საქციელს—ლოთობას, რომელიც, თუმცა, ღვთის მადლით, საზოგადო სენათ არ არის გადაქცეული, მაგრამ არც უადგილო არის სამღვდლოთა ცხოვრებაში. ლოთობა დიდი უბედურება არის ყოველ წოდებაში. ის ხშირათ მიხეზია ზნეობისა და ქონებრივ დაქვეითებადაცემისა. ჩვენი სოფლის ხალხი დღეობებსა და ნათვლა-წირვა-აღაპებში ერთი და ორი თვის საყოფ ღვინოს ძალათი სმით ერთ დღეს ანადგურებს და შემდეგ კი ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში მუშაობის დროს ცხვირზე მოსასმელათაც აღარ ეშოვება. ასეთი უზომო სმისაგან კი სარგებლობის მაგიერ მარტო პირუტყვის დამსგავსება, ჯანმრთელობის დარღვევა, ერთმანერთის შეწუხება, ცემა-ტყება და ღვთის გარისხება გამოდის. ამ ცოტა ხნის წინეთ, 13 ამა მაისს, ესრედწოდებულ „სულობას“ ზემო იმერეთის ერთ ეკლესიაზე, ვითომ გარდაცვალებულთა საცხოვრებლად, მაგრამ უფრო საქციელთ შეგროვილ ხალხში ჩხუბი ატეხილა და ერთ ღვინით ვალეშილს მეორესათვის გვერდში დანა უკრავს და მისი სიკოცხლე სასწორ-

ზე შეუდევს. აი ამ ყოველნაირათ დამღუპველ ჩვეულებას უნდა შეებრძოლოს ყოველი მღვდელი, მაგრამ სიფხიზლის მქადაგებელი მღვდელი მუდამ ფხიზელი და მტკიცეთ აღმასრულებელი უნდა იყოს წმ. მოციქულის სიტყვებისა: „ნუ დაიბრძობით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე“. საუბედუროთ, ზოგიერთი მღვდლები ძლიერ ყურმოთელილათ ისმენენ ამ მადლიან ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვებს და ხშირად კიდევ აქარბებენ ერისკაცებს ღვინის სმაში. ამის მაგალითებიც შორაპნისავე მაზრის ერთი კუნტულიდან შემოძლია მოვიყვანო, სადაც ლოთობისათვის ერთს მღვდლობა ჩამოართვეს, მეორეს, რომ მადლიანი კაცები არ გამოჩნოდენ, უდაბნოში გაგზავნიდენ. იმედია ქუთას გვასწავლის დასახელებული მაგალითები. ან კი რა არის აქ შეუძლებელი, როდესაც სმა-კამაში ზომიერებას უნდა გვაიძულებდეს, როგორც საეკ. და სამოქალაქო კანონები, ისე უბრალო ადამიანობა და შებრალება მოყვისა. როგორი შებრალება და სამართლიანობაა, როდესაც მღვდელი რომელიმე ღარიბის ოჯახში ერთი კვირის საყოფ ხშირათ ვალითა და ვახშით ნაყიდ ღვინოს ისხამს მუცელში და ამოდენივე კიდევ, როგორც ზოგიერთებზე ამბობენ, კუბრიელით სახლში მიაქვს! ნუ, ნურავინ ნუ ჩავიდენტ ასეთ საქციელს. გვებრალებოდეს როგორც ჩვენი სული და ხორცი, ისე დაბეჩავებული მოყვასი და სულიერი შვილი! აუცილებელ სულიერსა და მოსალოდნელ ხორციელ სასჯელს გვიჯობს ამ შემთხვევაში ერთმანერთი პირუთენელად ვამხილოთ, როგორც სიტყვით, ისე, თუ საქირო შეიქმნა, პრესის საშუალებითაც. იმედია ასეთ მხილებას თავის ფურცლებზე ადგილს დაუთმობს „ზინაური საქმეები“, —თუმცა, როგორც ამავე გაზეთში იყო მოხსენებული, ერთი ბლადოჩინთაგანი ასეთ ძმურ მხილებას თურმე სამღვდლოების ლანძღვას ეძახის და ღრჩევს არ გამოიწერონ მათთვის „უსარგებლო“ და თან „ძვირი“ გაზეთი. ზოგიერთი მღვდლები ნეტარსენებულ დეკლამაციის გამოცემის შესახებაც იძახოდენ: „რა ყრია მწყემსშიო?“ სიძვირის შესახებ კი

არაფერი გამოგონია, თუმცა ის — „მწყემსი“ — „შინაური საქმეების“ ფორმატით თვეში ორი, ხან ერთი ნომერი გამოდიოდა და წლიურად 5 მ. ღირდა. მაგრამ რა საჭიროა სიძვირეზე ლაპარაკი. რაიცა შეეხება გაზეთის შინაარსიანობა-უშინაარსობას, უნდა ვსთქვათ, რომ ვისაც კითხვა ეზარება, მისთვის არც ერთ გაზეთში და წიგნში არაფერი არ ყრია. სამწუხარო კი უფრო ის არის, როდესაც ვინმე კერძო კაცი-საგან გაზეთის საშუალებით მხილებაზე თავის გამართლების მაგიერ თვით გაზეთზე მიიტანს იერიშს ხსენებულ ბლალთჩინივით, რომელსაც ალარ გახსენებია, რომ „შინ. საქმეებმა“ (იხ. ამა წ. 2—3 და 7 ნომრები) იმაზედ უფრო დამსახურებული ბლალთჩინის საქციელსაც ახადა ფარდა, მაგრამ იმას გეროსტრატული საქციელი გაზეთის გაქარწყლება-განიავებისა გულში-აც არ გაუტარებია. ან კი რას ერჩით გაზეთს? ის ემსგავსება სარკეს და ნათლად დაგვანახვებს საზოგადოებისა და კერძო ადამიანების ზნეობის სიღრუხურე-სიმშვენიერეს. განა სარკე იმიტომ უნდა დავემტვრიოთ, რომ ხშირათ ჩვენივე დაუდენელობით გაუსუფთავებელი სახე სასიამოვნოთ ვერ დაგვანახვა? განვიმეორებ, ძვირფასნო და ქრისტეს მიერ საყვარელნო თანამანო, რომ საფუძვლიანი მხილება ნამდვილი ქრისტიანული მოვალეობაა ყოველი შეგნებული ადამიანისა და იმის შესახებ გულისწყრომაც შეუუგნებლობა და მომაკვლინებელი ცოდვა უნდა იყოს. ჩვენი დიდი მოვალეობის პირნათლად შესრულებას ხელი შევეუწყოთ, როგორც ერთმანერთის „სამართლიანი მხილებით“, ისე ამ მხილების უდრტვინელათ მიღებითა და მასში მოხსენებულ ნაკლულეფანებათაგან გასწორებით.

ერთი სოფლის მღვდელთაგანი.

### ჩვენი მაიმუნოვა.

ღმერთმა დაგვიფაროს, იმ რწმენისაგან, რომ ადამიანი მაიმუნის ნათესავეთ მიგვაჩთეს, მარა ჩვენ, ქართველებს მიზბაძველობაში, დიდი ნათესაური კავშირი გვაქვს მაიმუნთან! ძალიან უცბათ ვიცით ნახული და გაგონილის

მითვისება, მარა თავის დღეში არ ვუკვირდებით მას, კარგია იგი თუ ცუდი. სამწუხაროთ მავნებელ ჩვეულებას კი უფრო ადვილათ ვითვისებთ, ვინემ უვნებელს და სასარგებლოს. მაგალითების ძებნა არ დაგვჭირდება, რადგან ახლა ისე ხშირია იგი, რომ ვეღარც კი ვამჩნევთ მამაპაპურ ზნე-წესზე ვდგავართ, თუ წაბაძულლობის მორევში ვცურავთ. აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტი მაინც: რუსები, რომ ჩამოვიდა ჩვენში, რასაკვირველია, რომ მათ თავისი სახელი და გვარები ჩამოყვათ. დავინახეთ თუ არა ეს, ჩვენც მათებრ მოუმატეთ ბოლოზე ჩვენს გვარებს: „ოვი“ (ეს მიზაძეა კი, თავიან ფეხებიანათ ამერლებს ეკუთვნის საკუთრათ და რაკი ასე უყვართ, ღმერთმა მოახმაროთ). შინაგანი და გარეგანი სახე ყველაფერი მოდათ გადაკეთდა: ღვთის უარისყოფა, სარწმუნოების უკუგდება, წირვალოცვის მიტოება და სხვა ამგვარი სულის გამწმელი ზნეობრივი თვისების უარყოფაც მოდათ გადავაქციეთ და, როცა მღვდელმთავარი საღვთო წირვას ასრულებს, იმ დროს ტაძარში მუშა ხალხი და საფლავის კარზე მიმდგარნი თუ არიან, თორემ სადა ვართ?! ბულეარი კი, რომელიც ხუთ საყენა ტაძრიდან, გაქედლილია ხალხით. საღვთო და საერო საქმე, ეს ერის ხიწმიდე, ერის აღმაფრთოვანებელი განძი, თავმოსაწონებელი საამაყე აბუჩათ ავიგდეთ და თვით არ ვიცით რას ჩავდივართ. ანგარიშ მიუცემლათ არარაობის უფსკრულში მიეცვივით ნელ-ნელა, შეუმჩნეველათ. შეიძლება ზოგს ეს სიტყვები გადაქარბებულად ეჩვენოს და აქ ჩამოთვლილი ფაქტები მცირეთ მიიმჩნიოს, მარა შეცთომია. ნათქვამია: ზღვა კოვზით დილიაო. ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, რაც ჩვენ მამაპაპათა საქმე, ჩვენთვის სასარგებლო ზნეწესი და ჩვეულება დავკარგეთ, რომ გულდანსმით აღვრიცხოთ. განვიხილოთ და შევაფასოთ, ენახავთ, რომ ბევრი რამ უძვირფასესი დაგვიკარგავს. სამაგიეროთ წყალ-წყალა ჩვეულება შამოგვილია, რომელსაც ჩვენში ნიადავი არა აქვს, მარა ჩვენი სასარგებლო თვისებების ამოსაუხვრელათ დიდი ძალია აქვს. ჩვენ ადვილათ ვიტყვი, რას დააკლებს ქვეყანას ქა-

ლებმა, რომ ბულვებში თავზე ძრებით, გულ და მკლავებ ტიტველა, თითო მტკაველ ცხვირ-იან პოლსაპოშკებით და შანტეკლელებით და-ბორკილათ იარონო, მარა ამას ყველაფერს თავისი დამაბრკოლებელი მნიშვნელობა აქვს, ჩემო ბატონო. გულუბრყვილონი ადვილათ იტყვიან: დეე ვისაც შანტეკლელებით კისრის ტეხა უნდა, ღმერთმა ხელი უწყოსო, მარა იმათ რომ კითხვით, ქართველი ვართო გეტყვიან და ყველას რომ ქართული სძულთ ამაზე რას მიბრძანებთ?! ყველგან და ყველა უცხო ენით ტყლიპინობს. სასირცხო და სავალალო ისაა, რომ არც ის იციან და სასაცილო ჯიჯიყის არ ცხვენიათ! ქართულს სულ არ ლაპარაკობენო, რომ ვთქვით სიკრუე იქნება, ქართულს ლაპარაკობენ, მარა კრელა-კრულათ, ნახევარი რუსული და ნახევარი ქართული. რაც უფრო არეული იქნება ერთმანეთში მით უფრო „ნასტავლობის“ ნიშანია. ეს ბრალი, განა მარტო ქალებს ადევთ? არა, ბატონო, ვაჟები ამ არეულ-დარევაში კიდევ უფრო დახელოვნებული ბრძანდებიან... ეკლესიაში რაღას ვხედავთ?—ერთს „პაკი პაკის“ ამბობენ, მეორეს მერმე და მერმეს. ერთს „დოსპოდი პომილუსი“, მეორეს უფალო შეგვიწყალებს. არხიდიაკონი ამბობს: სიბრძნით აღემართენით! და იქავე მოაყოლებს: „პრიდიტე პოკლონიმსიას“. არხიდიაკონი კი, როგორც თავის თანამდებობაში ისე გალობაშიაც კარგი ნიქის პატრონია, მარა რაფერ გაეჭკეს დიდი ხნით შამოღებულ წესს. ყველა ამგვარებს ჩვენ, ისე შევეჩვიეთ, რომ მამაპაპური დაკანონებული რჯული გვგონია. იკითხავთ ეს არეულ-დარევა რა ამბავიაო? გეტყვიან, ეს მიტომ რომ აქ რუსებიც დადიან და ქართველებიცო, მარა წირვაზე, რომ მიბრძანდეთ, ნახავთ, რომ თუ ვინმე ეკლესიაში,—ყველა ქართველებია. აბა რა მიზეზია იკითხავთ? ფორმაა, ბატონო და განათლება, განა არ შეიძლება, როცა საჭიროა რუსული მსახურება იყოს, დანარჩენი ქართული? ვინ აიძულა ქალაქის მღვდლები, რომ ასე იქცვიან? არავინ. ვინ დაავალა ისინი, სეპისკვერზე სლავიანურათ დააწერეთო, მარა წაბაძვის სურვილით ქართული წარწერიანი სეპისკვერის

ბეჭდები დაამტვირეს, სლავიანური დააწერინეს ბეჭედზე. ამას აქდევენ სეპისკვერებზე და ამაზე სწირავენ! რატომ? ღმერთმა ქართული არ იცის თუ? იცის როგორ არა, ღმერთმა ყველაფერი იცის მარა, სხვისი ყველაფერი სჯობს ჩვენსას, ჩვენი არ ვარგა, და ბარემ დროთი გვირჩევნია ჩვენი ყველაფერი უარვეყოთ, იავარ ეყოთ!...

ამ ღვთის ქართულის ცოდნაზე ერთი ამბავი მომაგონდა: ყოვლადსამღვდელო გაბრიელს, ერთხელ აფხაზეთის ეპისკოპოსი ესტუმრა (რუსი). ამ დროს გაბრიელთან იყო გელათის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიონ (ახლედინი). მას აფხაზეთის ეპისკოპოსი შეეკითხა რაღაცას. გაბრიელმა მოახსენა, ამან რუსული არ იცისო. რუს ეპისკოპოსს გაუკვირდა და იკითხა: როგორ მოხდა, რომ მონასტრის წინამძღვარმა რუსული არ იცისო? გაბრიელმა გადაუთარგმნა ეს გელათის წინამძღვარს. მერმე არქიმანდრიტმა თხოვა გაბრიელს (თითქმის გულმოსულმა), უთხარი მაგასო: „თქვენ, მღვდელმთავარმა, როგორ არ იცით ის, რომ ღმერთს ყველა ენები ესმისო“. გაბრიელმა პირდაპირ ასე გადასცა ეს სიტყვები რუს ეპისკოპოსს, მან გაიცინა და უთხრა არქიმანდრიტს: „კმაყოფილი ვარ მით, რაც თქვენ მომიგეთო“. ეს ასეა, მარა ჩვენ ქუთათურ მღვდლებს და თუ გნებავთ თბილისელთაც ეს არ ჯერათ და თუ სლავიანური არ უწერიანთ სეპისკვერზე, ეშინიათ, რომ წაწყდენ... საწყალი ჩვენი ძველი მღვდლები! თურმე რა ცოდვა წაყვა ამ მხრით! ეს ნაწყვეტები მაგალითისათვის ვახსენებ და ვინ იცის რამდენი რა დაეკარგეთ, რამდენგვართა გადაგვარდით, ჩვენ კი ნორმალურ კალაპოტში ვდავართ გვგონია. ისე შევეჩვიეთ ყველაფერს უცხოს, რომ ჩვენი საკუთარი, მამაპაპური გვგონია. ერთი მკირე მაგალითიც: „ზინაური საქმეების“ მე 14 №-ში ბ. ხელი ეხება სობოროს ლოტბარს და სლავიანური გალობის ვითარებას. სწუხს, რომ უკეთეს მწყობრათ ვერ გალობენ რუსულ გალობას. შეგვიბრალეთ მლოცველები, კი რუსული გალობა გავვიწყვეთო. ბ. ხელმა ძალიან

კარგათ იცის, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ქართული გალობა გვაქვს და, როგორც ყოველთვის წინეთ, ისე დღესაც უნდა გალობდნ „სობოროში“. მარა იმ შეჩვევამ, რომ „სობოროდამ“ კარგი ხანია ქართული გალობა გააძევეს, მუდამ სლავიანურათ გალობენ და ქართული გალობა აღარ ისმის, ბ. ხელსაც, ამ საზოგადო საქმეზე გულშემოტივარ ადამიანსაც კი ერთი წამით მინც დაავიწყა, რომ „სობოროში მარტო რუსული გალობა არაა სავალდებულო. აკი მოგახსენეთ შეუმჩნეველათ შევეჩვიეთ ყველაფერს სხვისას და ჩვენი დავკარგეთ მეთქი?! (მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ხელი დამეთანხმება ყველა ამებზე). ეს ასეა თორემ, რომ ასე არ იყოს ქართულ გალობაზე უფრო გულშემოტივარულობას გამოვიჩინთ, ვინემ რუსულზე, რომელიც ქართულზე ასჯერ უფრო ვითარდება ჩვენში. ჩემთვის, რომ ეკითხა ვისმეს ასე ვიტყოდ: რუსულ გალობას, როგორც არის გვარიანათ გალობენ, მარა ქართულათ, რომ სულ არ გალობენ, ეს რა ამბავია მეთქი! წინეთ თუ კანანარხი იყო გაჩაღებული და ყველაფერს გალობით ამბობდნ ქართულათ, დღეს ერთი ტროპარიც, რომ აღარ იციან, რა ლეთის წყრომამეთქი?!

იოთამ თარხანიძე.

## როგორ სჯობია?

1860 წელში, როდესაც ნეტარ ხსენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ავიდა იმერეთის ეპარქიის კათედრაზე, ეპარქიის საქმეები ისე აწეწილ-დაწეწილი იყო, რომ დიდი შრომა, მდგარი ბრძოლა და შეუდრეკელი ენერგია უნდა ქონდა ეპარქიის მმართველს, რომ ყოველივე წესიერებაში მოეყვანა. არც სამრევლოთა შტატების წყობილება, არც ეპარქიის საბლაღოძინო მახრებათ დაყოფა და არც ეკლესიის კრებულის დანიშვნა არ მიდიოდა წესიერათ. 1860 წლიამდე ყოველდღისამდღელო გაბრიელის წინა მოადგილეები არ დაეძებდნ არც ერთს და არც მეორეს. ამისათვის მრავალი მღვდელი და დიაკონი იყვნენ შტატ გარეთ ნაკურთხნი,

რაიცა ცუდათ მოქმედებდა სამღვდლოების ზნეობრივ და ნივთიერ მდგომარეობაზე. მღვდლის კურთხევა ღირდა ერთ ბაჩა ცხენათ, ჯორათ, ანუ ძროხათ. ეხლაც ცოცხალია ერთი ღრმათ მოხუცებული პირი, რომელსაც ბევრჯელ შემოუჩივლია ჩემთვის; „მამაო, დავიღუბე ჩემი თავი. გერმანე ეპისკოპოსმა ბაჩა ცხენი მოხოვა გაკურთხებო, მე არ მივეცი და დავრჩი ასე“. მაგრამ მიცვალეზულზე ნულარაფერს ვიტყვი, რადგან უწინდელი მღვდელმთავრები, თუ როგორ ყიდდენ სამღვთო მდღეს მშვენიერათ აქვს დასურათებული თავის წერილებში ბ. ბარნოვს, რომელიც იბეჭდებოდა ამ ათი წლის წინეთ „მწყემსში“

როგორც ზევით ვსთქვი, დიდი შრომა და ენერგია უნდოდა მღვდელმთავარს, რომ ეპარქიის საქმეები წესიერებაში მოეყვანა. ასეც მოიქცა ყოველდღისამდღელო გაბრიელი. მოვიდა თუ არა ქუთაისში, დიდი არ დაუყოვნებია, სოფლათ, თუ ქალაქად დაიწყო მოგზაურობა, შემოიარა მთელი იმერეთი, რაქა-ლენხუში და სვანეთი ერთი მეჯინიბის ამარა. ისე მიდიოდა ეკლესიებზე, რომ არავინ არაფერი არ იცოდა. ერთი ღრმათ მოხუცებული გლეხი, რომელიც იმ დროს მნათეთ იყო ხშირათ მეტყოდა: „ისე მოვიდა ითხვისის ეკლესიაზე გაბრიელ ეპისკოპოსი, რომ არავინ არაფერი არ ვიცოდითო; მღვდლები ჩირგვებში დავმალე, მოულოდნელათ რომ მღვდელმთავარი გვეწვიაო“. იმ დროში ითხვისის ეკლესიაზე 120 მოსახლე ყოფილა და ოთხი მღვდელი, მედავითნე თურმე სულ არ ყოფილა, უბრალო ერის კაცები კითხულობდნ და გალობდნ.

ძველ იმერეთის ეპარქიაში იმ დროს, ე. ი. 1960 წლებში, იყო ხუთი, თუ ექვსი კეთილმოწყესე. შორაპნის ნახევარი მაზრა ეპარა განსვენებულს ოქროპირ წერეთელს, რომელსაც დიდი გავლენა ქონდა არა თუ ხალხში, არამედ მღვდელმთავრებზედაც. დავით მიტროპოლიტი დიდათ მოერიდებოდა თურმე ოქროპირს და დიდი ხათრიც ქონდა მისი. თავად წერეთლებში იმდენი გავლენა არ ქონდა გერმანე ეპისკოპოსს, რამდენათაც ოქროპირ წერეთ-

თელს. ქუთაისში ჩასვლისათანავე გაბრიელმა ყველა კეთილმოწყვეტი დაითხოვა ოქროპირის გარდა, დაყო ეპარქია საბლალოჩინო მარბათ და კეთილმოწყვეტი დანიშნა ახალ გაზრდა მღვდლები, ვისაც სემენარია ან ოთხი კლასი ქონდა გათავებული, მოიწვია მკოდნე პირები და თვითეული საბლალოჩინო მარბა დაყო სამრევლოებათ. აგრეთვე დაიწყო სამღვდლოების ნივთიერ მდგომარეობაზე ზრუნვა. 1867—70 წლებში გამოითხოვა აღრჩევითი წესი კეთილმოწყვეტებისა, ხელახლა დაყო ეპარქია საბლალოჩინო მარბათ, ჩამოიარა მთელი ეპარქია და სამღვდლოებას აარჩევია კეთილმოწყვეტი და მოძღვართ მოძღვრები. თუ შეატყობდა, რომ სამღვდლოება მიკერძებით, ან რაიმე სხვა მიზეზით რიგიან მღვდელს არ აირჩევდა, თავისი უფლებით ამწესებდა კეთილმოწყვეტს. ასე მოიქცა შორაპნის მარბაში, სადაც კეთილმოწყვეტი დანიშნა განსვენებული დეკ. დავით ლამბაშიძე.

გაბრიელი გარდაიცვალა. 1860 წლიდან გავიდა 52 წელიწადი, ეს დიდი დროა, ხალხის ცხოვრებაში. ხალხი გამრავლდა. საეპარქიო, თუ საკეთილ მოწყვეტი და სამრევლო საქმეები გართულდა, მოთხოვნილებამ ერთი ათათ და ასათ იმატა, უწინდელ კეთილმოწყვეტს 30—50 ნომერი თუ გაუვიდოდა (ან კი რა საჭირო იყო მეტი? ხშირათ გამიგონია მოხუცი მღვდლებისაგან: „განსვენებული ოქროპირ წერეთელი რომ მღვდელს გაუჯავრდა, ეტყოდა: „ხუცესო სარტყელი შემოიხსენი და მანამ არ წირო, სანამ სარტყლის შემორტყმის უფლება არ მიიღო“. მღვდელიც სიტყვის შეუბრუნებლათ დაემორჩილებოდა. ეხლა კი თუ, რიგიანათ მოიქცა კეთილმოწყვეტი 400—500 ნომერი გაუვა საქმისა და ამოდენი კიდევ შემოუვა. ამისათვის ჩემის აზრით საჭიროა, რომ ეპარქია ხელახლათ დაიყოს საკეთილმოწყვეტი ოლქებათ, სამრევლოები შტატებათ. შტატები გადიდდეს; პატარა შტატები გაუქმდეს. ამით სამღვდლოების ნივთიერი მდგომარეობაც წინ წაიწევს. უწინდელს სამღვდლოებას იმოდენი მოთხოვნილება არ ქონდა, რამდენიც ახლა აქვს.

უწინ მღვდელი უბრალო მუშა კაცავით მუშაობდა და ისე ასაზრდოებდა ცოლშვილს. ეხლა კი სხვა გარემოებაშია ჩაყარდნილი სამღვდლოება. მღვდელს უნდა არჩენდეს მრევლი, ხოლო მღვდელი უნდა ზრუნავდეს მრევლის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე. მაგრამ რა ქნას 60—70 კომლიან მრევლის მღვდელმა?! საბლალოჩინოებაში უნდა იქმნეს 20—25 შტატი, ხოლო შტატებში არა ნაკლებ 200 კომლისა და, სადაც მოსახერხებელია, 300—400 და მეტიც.

უკანასკნელ სამღვდლოების დეპუტატთა კრებაზე გამოირკვა, რომ რაჭაში რვა კომლ კაცს გაეშტატებია თავისი ეკლესია მოხერხებით. ხარჯი გაშტატებისა სამღვდლო კანდიდატს მიუღია თავზე. ეს მღვდელი უკანასკნელ კრებაზე ემუდარებოდა დეპუტატებს ჯამაგირის დანიშვნას, რაზედაც უარი უთხრეს. ასე თუ იქნა, მალე ისევ გერმანე ეპისკოპოსის დროში გადავალთ!...

დეკანოზი იოსებ წერეთელი.

## კრიტიკა.

ეკატერინე გაბაშვილისა.

I.

გასულს 1910 წელს უპირველეს ბელეტრისტ ქართველ ქალს ეკატერინე გაბაშვილს შეუსრულდა ორმოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც სამწერლო მოედანზე გამოსულა ლ იღვწის. ამისთვის მადრიელმა ქართველმა საზოგადოებამ მისის თვეში საიუბილეო დღესასწაულიც გადაუხადა მას თფილისსა და ქუთაისში.

ეკატერინე გაბაშვილი ერთი ნიჭიერი და საყვარელი, მშვენიერი მწერალია საქართველოში, სადაც ქალს ყოველთვის, ყოველ დროს ქონდა ასპარეზი მაღლიანი მოღვაწეობისთვის... სამწერლო ტალანტით ბუნებისგან დაჯილდოებულს, რომლის ნიშანი ყოველთვის ცოცხალი, დახვეწილი სალიტერატურო ფორმების ხმარებაა, ეკატერინე გაბაშვილს კალამი ემარჯვება საკმაოდ მძლავრი და ნაზი გრძნობების გამოსახატავად, რომ ქირსა და ლხინში სოფ-

ლის უბედურს ქვრივსა და დავრდომილს, დასაწყლებულს გამოცხადებულს, იმათი აუტანელი ცხოვრება ნათლად დაგვიხატოს და ამით აღძრას ჩვენს გულში მათდამი თანაგრძნობა და სიბრალული.

ეკატერინე გაბაშვილს ქართველ საზოგადოებაში ყვეს საკმაოდ ბევრი მკითხველი, რომელნიც დიდი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით ეპყრობიან მის სახელს. მკაცრი კრიტიკა თითქმის არ უხერხდება, ვერ უდგება ამ დიდად მოსიყვარულე გულის პატრონ მანდილოსანს, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნე უმოდვინია ეკლით და ნართ მოფენილს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

ეკატერინე გაბაშვილი გასული საუკუნის 80-იან წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და სოფლის მშრომელ მესაკუთრეთა დიდი მოტრფილთა. მართალია, იგი, ვითარცა მხატვარი — მწერალი, სუსტია, ადამიანთა სულის ღრმა მკოდნე არ არის და ვერც იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ყოველთვის, მაგრამ, სამაგიეროდ, სოფლის ცხოვრების ყოველდღიური ამბები და ამ ცხოვრების სურათი ცოცხლად აქვს მას აღწერილი და მეტად მოხდენილი, სუბტიკი ენით მოგვითხრობს ბევრ საინტერესო ეპიზოდებს ჩვენი ცხოვრებისას.

ეკატერინე გაბაშვილი წმინდა, ნამდვილი რომანტიკოსია. მოგვხსენებათ, ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაქტს ნამდვილი რომანტიკოსი უყურებს წინათვე დამზადებული, უკვე კარგად შეთვისებული აზრით. იგი თავის სურვილებს და იდელებს, თავის გრძნობაგონების ძალებს არ უთანხმებს ხოლომე, არ შეუწონ-უფარდება ამ ცხოვრების ფაქტებს. წმინდა წყლის რომანტიკოსი, შეყვარებული ქალ-ვაიფით, შეყვარებულია თავის წინასწარ-წარმოდგენილ, შეთვისებულ აზრთან და არა დროს, არაფრის გულისთვის არ დასთმობს იგი ამ შეყვარებულ აზრს და არ ურიგდება ცხოვრებას, არ ისრის ქედს ყოველდღიურ ცხოვრების მო-

ვლენების წინაშე. რომანტიკოსი ყოველთვის თვისი გრძნობების, გულის ხმის ამყოლია და სინამდვილის ინტერესებს ანგარიშს არ უწევს...

ამიტომაც არის, რომ ჩვენი სასიქადულო მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი ყოველთვის ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებში არა ჩვეულებრივ მოვლინებას უფრო ეტანება, ცდილობს აღწეროს სოფლის ამბავი ისეთი სიტყვებით და ფერადებით, რომ მკითხველის გულში აღძრას ზიზღი თვის მიერ აღწერილ სისაძაგლისა, რომ თავის საყვარელ იდეას ამით მოუპოვოს გამარჯვება და დაუმკვიდროს სიცოცხლე ამ წუთისოფლად.

ქართველ მწერალ ქალთა შორის ეკატერინე გაბაშვილს, მიუცილებლად, პირველი ადგილი უჭირავს და თავმოსაწონებელი მწერლის — მორალისტის სახელიც აქვს გავარდნილი ქართულ ლიტერატურაში.

ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა 1851 წელს 16 ივნისს ქ. გორში, სადაც მამა იმისი, რევაზ ბააღურისძე თარხან მოურავი მსახურობდა სასამართლოს მდივანად. თარხან-მოურავები დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის (მეჩვიდმეტე საუკუნეში) ჩამომავლები არიან და ეკუთვნით მეტად მდიდარი მხარე ახალქალაქისა მტკვრის მარჯვენე მდ. თეძამის პირზე, გორის მახრაში, რომელიც ამასთანავე ჩინებული საგარაკო ადგილიც არის ქართლში.

თარხან-მოურავების გვარს საქართველოსთვის დიდი, სახელოვანი მამულიშვილები მიუცია და გასული საუკუნე დაავგირგვინა მით, რომ ამ გვარმა ჩვენ მოგვცა ქართველთათვის დიდად თავმოსაწონებელი პროფესორი თარხნიშვილი, რომელიც არა თუ რუსეთში, საზღვარგარეთაც კი დიდად სახელგათქმული იყო.

მამა ჩვენი მწერალი ქალისა, თავადი რევაზი, მეტად ბეჯითი, მშრომელი და მუყაითი ადამიანი შეიქნა. მან კურსი ჩინებულად დაასრულა თფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელში (ახლანდელი პირველი გიმნაზია) და იყო ძალიან ნაკითხი და განვითარებული კაცი. ამასთანავე იგი იყო დინჯი, დამჯდარი ხასიათის, მეტად გულკეთილი და სხვის პიროვნების

დიდად პატივისმცემელიც. დედა ეკატერინესი სოფიო, თავადის ვახტანგ ბაგრატიონ-დავითი-შვილის ასული იყო. კნენა სოფიო მის დროში გათქმული მანდილოსანი იყო ხასიათის სიმკვირცხლით, სითამამით, მხნეობით და გულადობით, როგორც ძალიან კარგი მოჯირითე, მემუსიკე და სიმღერ-თამაშით დროს გამტარებელი.

რევაზ თარხან-მოურავი 27 წლის რომ შეიქნა, ერთ რაღაც ძნელი და ბნელი საქმის გამოძიების დროს ქუთაზე შეირა და იძულებული შეიქნა სახელმწიფო სამსახური მიეტოვებოდა. ბევრი მზრუნველობის, მოვლის და წამლობის შემდეგ ავადმყოფი რევაზი უკეთ შეიქნა და კერძო ვეჟილობა დაიწყო, ჩინებულად იცავდა ალებულ საქმეებს. მაგრამ იმისმა მზიარულმა კნენამ, ახალგაზდა სოფიომ ვეღარ აიტანა ასეთი დიდი უბედურობა საყვარელი ქმრის მძიმე ავადმყოფობა, ქმარი რომ შეერა, მერე მისი მუდმივი, განუშორებელი მოვლა-პატრონობა და უდროოდ გარდაიცვალა. დედის გარდაცვალების შემდეგ დარჩა ობლად ხუთი წლის ეკატერინე და ორი წლის — მამა იმისი.

ამ პატარა ობლების პატრონობა იკისრა მათმა ბებიამ, ბაბბარემ, ბაგრატიონ-დავითი-შვილის ცოლმა, ტომით სომხის ქალმა. ეს ბებია საშინელი ანჩხლი, სასტიკი და ეინიანი თურმე იყო. იმის წინაშე თრთოდენ, არამც თუ პატარა ობლები, არამედ თვით მათი მამა რევაზიც კი, რომელიც შვილების გულისთვის უნებურად ემორჩილებოდა დედაბრის თვითნებობას.

პატარა ობლების მდგომარეობა უფრო გამწარდა მას შემდეგ, როცა ორი წლის ქვრივი რევაზი ხელმეორედ ცოლს ირთავს. დედი ნაცვალის მეთის მეთად გულქვა ადამიანი გამოდგა, რომლის უსაქიელობამაც ქმარს წინანდელი სენი ისევ დაუბრუნა. ამ მიზეზის გამო, თვით ჩვენი მწერალი ეკატერინე სწერს: „ჩემი სიყმაწვილე თითქმის დაუშრეტელი მწუარების წყარო იყო...“

როცა რევაზი თავის სენის ბრკალების-

გან განთავისუფლებული იყო ხოლმე, დიდი ზნობრივი ვაგლენა ქონდა პატარა ეკატერინეზე. იგი შშობლიურ გულის სიყვარულს არ აკლებდა თავის ქალიშვილს, ებასებოდა, უკითხავდა წიგნებს, უხსნიდა ყოველიფერს, არიგებდა და აცნობდა ცხოვრების მრავალგვარ მოვლენებს.

რევაზი ნამდვილი გულკეთილი მეგობარიც იყო პატარა ეკატერინესი და თვისი ცოდნა-გამოცდილებით ყოველთვის სულიერ სხზრდოს აწვდიდა თვის საყვარელ ქალიშვილს. ამიტომ საყვარელი მამის მეგობრობა დედით ობოლი ეკატერინესთვის დიდი ნეტარება იყო და უკეთეს წამებად უნდა ჩაითვალოს მის სიყმაწვილეში.

თვისი პატარაობა ეკატერინემ ქ. გორში გაატარა. რვა წელიწადი რომ შეუსრულდა, ეკატერინე მამამ თფილისში ჩამოიყვანა და გერმანელების შკოლაში მიიბარა. შემდეგ კი გადაიყვანა მამადავითში სომეხ ქალების აშბარდანოვების პანსიონში. თორმეტი წლისა რომ გახდა, ეკატერინემ დააპირა ინსტიტუტში შესვლა, მაგრამ სუსტი მომზადებული გამოდგა და არ მოხერხდა იმის იქ მიღება. მაშინ მამამ ეკატერინე მიიბარა თფილისში კარგად ცნობილ ქ-ნ ფავრის პანსიონში.

ეს პანსიონი საუკეთესო პანსიონი იყო იმ დროს მთელ თფილისში, რადგან ქ-ნ ფავრმა ძალიან დახელოვნებულ მასწავლებლებს მოუყარა თავი ამ სასწავლებელში. იქ ქართულ ენასაც დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული. ამ საგანს ასწავლიდა პირველ ხანებში ნიკო დედაბრისვილი, შემდეგ ცნობილი ნიკო ინაშვილი და მერე ალექსანდრე ცაგარელი, აწ უკვე ჩვენი ცნობილი პროფესორი. აი, ამ მასწავლებლებმა გულში ღრმად ჩაუნერგეს მომავალ ნიჭიერ მწერალს ქართული ლიტერატურის სიყვარული და დიდი ინტერესი.

ფავრის პანსიონი ეკატერინემ 1868 წელს დაამთავრა და შემდეგ ხელი მიყო თვით-განვითარების დიდ საქმეს, რაშიაც დიდად ხელს უწყობდა ერთი განათლებული ნათესავი ახალგაზდა კაცი და ბევრი სხვა საუკეთესო ნაცნო-

ბნი. იმათი ხელმძღვანელობითა და რჩევით ეკატერინემ გადაიკითხა ბევრი საუკეთესო მწერალთა თხზულებანი, რომელთა შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს საქვეყნოთ სახალგანთქმულს ინგლისელ ფილოსოფოსს გერბერტ-სპენსერს.

ეკატერინეს სწავლის წყურვილი ისე დიდი ქონდა, რომ უნივერსიტეტისთვის მზადებაც კი დაიწყო. მაგრამ იგი გაიტაცა საზოგადო საქმეების გულმხურვალედ სამსახურმა. სამშობლო სოფელში მან გამართა ქალებისთვის სკოლა, საცა მუქთად ასწავლიდა მოზარდ თაობას ქართულსა და რუსულს. მუქთადვე ასწავლიდა იგი სკოლის გარეთ ყველა სწავლის მსურველ ქალებს და დაუზარებლად ფენდა სწავლის შუქს წყვედიადით მოკულ სოფლის გლეხობას.

1870 წელს ახალგაზდა ეკატერინე პირველად გამოდის ქართულ სამწერლო მოედანზე. ამ წელს მან „დროებაში“ დასტამბა პირველი თვისი ნაწარმოები — „გლეხ-კაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“.

აი, ამ წლიდან პირველად იგემა მან გულის გამხარებელი დიდი სიტკბოება ქართულად წერისა და მას აქეთ კალამი ხელიდან არ გაუგდია და დღემდე დაუზარებლად ემსახურება იგი მშობლიურ ლიტერატურას.

1872 წელს ეკატერინე მისთხოვდა ალექსანდრე ზაქარიასძე გაბაშვილს და დღეს იგი სასწავლო შვილებით და შვილისშვილებით.

შემდეგი იქნება.

ზომიელი.

## ფშავ-ხევსურეთის სალოცავები

და ცოტა რამ მათ და მათი მლოცველების შესახებ.

(დასასრული 1.)

როგორც ნამდვილათ გვიამბეს, თურმე ხევისბერები, გარდა ფულისა და ფარჩეულობისა, სხვა დანარჩენ შემონაწირს მიწაში ფლავენ და იქ აღობზენ, და ხალხს არწმუნებენ, ჩვენს დიდებულს თამარ მეფეს ასე სურსო?

1) იხ. ზინ. საქ. № 18 — 19.

ზემოხსენებულმა მღვდელ მონაზონმა ილარიონმა ეკლესიის აშენება სისრულეში მოიყვანა 1911 წელს და კიდევ უნდოდა ეკურთხება ამავე წლის ენკენის ანუ ლენინობისთვის დიდებული თამარის სახელზედ მამა არხიმანდრიტს ანტონს; მაგრამ ცუდი ამინდის გამო ვეღარ მოხერხდა, და სხვა დროსთვის გადაიდო მისი კურთხევა. ეს რომ ხევისბერებმა შეიტყვეს, ცას მიეწივნენ და დაიწყეს ხალხში მითქმა—მოთქმა: „ილარიონ ბერს საყდარი გაუუქმა მთავრობამ და საქმე ისევ მამა-პაპურ წესზედ უნდა წაიდესო. არ სურს მაინც აქ საყდარი ჩვენს დიდებულს თამარ მეფეს და არც ხელი მოუშართა ილარიონ ბერსაო“.

დეკანოზ დარჩიას ახლად დაარსებულ სამლოცველოზე ფშავლებმა შესაფერი ლექსიც შეუთხზეს, რომელის პირველ ნაწილს აქვე მოვიყვანთ:

„დედასაცმ ნუ გაუზღიხარ,  
შენ მისრიათ დარჩიაო;  
თამარ და ლაშარის ჯვარი,  
ჩამოლაღე ბარშიაო.  
თამარ მეფე და ლაშარი,  
აღარ დადგენ მთაშიაო:—  
აქ დაჰკალით კურატები,  
აქ შესწირეთ თასიაო;  
დაიჯერეთ აქ ილოცეთ,  
ვისაც კეკა გაქვთ თავშიაო,  
წახვალთ კლდეზედ გადასკვივით  
ან ჩასკვივით წყალშიაო...  
მთაში ქერჩომ\*) დაიჩივლა,  
ლამის მოგჰკვდე დარღშიაო:—  
აღარ მოაქვსთ წითელ ლენო,  
ვერას ვასხამთ თასშიაო;  
მეორ-მესამე წელია,  
ცარიელი დავრჩიაო...  
ილარიონ ბერი ტირის,  
აღარ მოდის ხალხიაო;  
რად ავაგე ეს საყდარი  
რად ჩავარდი ხარჯშიაო“.  
და სხვა.....

მლოცავებს რომ მიაქვთ ხატისთვის თავის

\*) ქერჩო ლაშარის ჯვარის ხევის ბერია.

„დანაპირ“ შესაწირი, დეკანოზ—ხევისბერი ანათებს მიტანილ სანთელს და ვითომდა დიდის კრძალვით და მოწიწებით ასე ილოცება: „ააააა... თქვენ გვედრებიან დიდებულ ბატონებო—ხელმწიფენო ლაშარის ჯვარო და დილო თამარ მეფეო (იტყვის მლოცავის სახელს). თქვენდ ზღვენულუფა არ დაგაკლესთ, თქვენ მართვით მეუფე ღმერთს ეს დაკლული მაცხოვარი (ცხვარი), დადგმული ზედაშე (ღვინო ანუ არაყი თასით) ბარძიმი (თასი), და კერეთილი სეფე—სეფისკვერი ანუ ხმიადი. ღირსად შაიწირეთ, ხსნილა და კურთხეულადა და ამის სამაგიეროთ მადლი და წყალობა გამოსთხოვეთ მეუფე ღმერთსა“...

შემდეგ დამწყალობებისა, დეკანოზ—ხევის ბერები არიგებენ—აფრთხილებენ მლოცავთ. რომ არ შესკოდონ რითმე და არ აწყენინონ ხატსა, თორემ ხატი და მისი ანგელოზები, უკანავე გადმოუყრიან შენაწირს ან ახალს შესაწირს მოსთხოვეთ ხატი და სხვა...

ერთი პატარა ლეგენდა არის ფშავლებში დარჩენილი თამარ მეფეზედ: „თამარ მეფესა ჰყოლიან მწვეარ-ბეთურანი, —რომელნიც სხვა ცხოველებში დიდათ ირჩეოდენ. ფშავლების აზრით, მწვეარ-ბეთურაათ სული დღესაც არსებობს. ვისაც თამარ მეფე გაურისხდება იმისთვის, რომ შესაფერი ძღვენი არ მიართო, ანუ დანაპირები არ შეუსრულა, მაშინ თამარ-მეფე უბძანებს მწვეარ-ბეთურათ სულებსა, რომ ის უმორჩილო-უპირო ყმა (მლოცავი) დააზარალონ. მწვეარ-ბეთურანიც თამარის ბძანებაზედ მგლებათ იქცევიან, და ურჩი ყმის ცხვარ-ძროხის ნახირს ზარალს მისცემენ. „დაზარალებული ყმა, საჩქაროთ მიდის განსაკუთრებით ხატის მკითხავთან საკითხავათ. მკითხავიც, რასაკვირველია, ურჩევს რაც ეკუთნის. მაშინ დაზარალებული ჰკლავს თხას, ანუ თიკანს (როგორც იტყვის მკითხავი), მოხარშავს ხორცს, შეამზადებს ხონჩაზედ ხორცს, პურს და სასმელს, მოიწვევს ხევისბერს საკურთხებლად და ხევისბერი ილოცება: „შაიწყალოს მწვეარ-ბეთურანი, იმათ ხელში მივიდეს ეს ხორცი, პური სასმელი და ჩამოშორდენ ამას (იტყვის სახელს); ნულარ ემტერებიან ამას და ამის ცხვარ-ძროხას, ნულარ აიღებენ ბაჯასა (ბაჯსა) და სხვა...“

ერთხელ მე უთხარი ხევისბერებს: მწვეარი და ბუთურა ხომ ორივე ძაღლების სახელია მეთქი და ძაღლებს რათ ლოცულობთ მეთქი? მათ ძრიელ იწყინეს და კინაღამ გამწკიპეს კიდევ და მითხრეს: „მწვეარ-ბუთურას სულებს ისეთივე ძალა აქვთ, როგორც ხატსაო“. მათის აზრით, მწვეარ-ბუთურას სულებს ზარალიც შეუძლიათ და სარგებლობაც ადამიანთათვის. როცა თამარ მეფეს აღიდებენ დღეობაში, იმავე დროს მწვეარ-ბუთურასაც იხსენიებენ: „შაიწყალოს, შაუნდნეს აი მწვეარ-ბუთურათო“. აგრეთვე ფშავ-ხევსურების აზრით, ხატში მიყვანილ საკლავის სისხლს ისეთი სიწმინდე აქვს როგორც ნამდვილს ზეთ-შირონს. ხევის ბერი, როცა ხატის კარს საკლავსა ჰკლავს, ცხვარია თუ კურატი-ხარი სულერთია, მხოლოდ თხა კი არ შეიძლება, ამ განადენ სისხლს პატარა თასში ჩააყენებენ და მითი გაინათლება სახლი ანუ ადამიანი და სხვა ადგილი. სისხლში ამოასველებს ხევისბერი საჩვენებელ თითს და ჯვარის სახედ სცხებს შუბლზედ და ორივე ხელის ზურგზედ. აგრეთვე, ჯვარის სახედ სცხებენ სისხლს სხვა ადგილას, საცა უნდათ. მორჩა, მერე წმინდაა და წმინდა მათის აზრით...

ზოგიერთი ხევისბერები, რომლებიც დიდი ხნის ნამსახურნი არიან, თამარ მეფის ვეზირებათ აღიარებენ თავიანთ თავს, და მკითხავები კი, თამარ მეფის, ანუ სხვა ხატების მოენეთ, ე. ი. მათი სურვილ-ბძანების ხალხზედ გადამცემლათ.

ამითი დაამთავრა ამხანათაც გიორგიმ თავისი საუბარი და დამპირდა კვლავისთვისაც კიდევ გაიმბობ ხოლომე, ფშავ-ხევსურეთის სალოცავებზედ, და ხევისბერ-დეკანოზებზედ ამბესაო...

აი ასე ჰყავთ დამონებული და ხელში ჩაბლუჯული საბრალო ფშავ-ხევსურეთის ხალხი ხევისბერ-დეკანოზებს და მათ თანამოაზრე მკითხავებს. რასაც ისინი უბძანებენ, ყველა მათი სიტყვა წმინდათ და უტყუერათ მიიჩნიათ და აუსრულებლობა ყოველად შეუძლებელია...  
მღვდელი ნესტორ ბაქურაძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟავლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.